თვითმმართველი ქალაქი
თელავის მუნიციპალიტეტი

ლაბორატორიული მომსახურების შესყიდვა
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო დოკუმენტაცია

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები

დაფინანსების წყარო - 2016 ადგილობრივი ბიუჯეტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე

2016 წელი
ქ. თელავი

სარჩევი

1. ტექნიკური/საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია 3

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 5

3. დანართი N1 - რეკვიზიტები 10

5. დანართი N2 - ინფორმაცია გამოცდილების შესახებ 11

6. დანართი N3- ფასების ცხრილი 12

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „ გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, ხოლო ასლების წარმოდგენა კი ხდება სისტემის გამოყენების საშუალებით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1.1 არ მოეთხოვება.

2.2 ტექნიკური დოკუმენტაცია

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

2.2.1 რეკვიზიტები– **დანართი N1**.

2.2.2ინფორმაცია - **დანართი N2**

2.2.3 ფასების ცხრილი -**დანართი N3**

სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

2.4 2.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, ტექნიკური დოკუმენტაცია უნდა ატვირთოს სისტემაში, ხოლო დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციაში მისი მოთხოვნის შემთხვევაში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა ასევე უნდა წარმოადგინონ ტექნიკური დოკუმენტაცია, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.4 ანგარიშსწორების პირობები

2.4.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. გარდა დღგ-ს. დღგ მიმწოდებელს დაემატება იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს დღგ-ს რეგისტრაციის მოწმობას.

2.4.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

2.4.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 15 დღეში.

2.4.4 ანგარიშსწორებას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად. ასევე შესაძლებელია ეტაპობრივი ანგარიშსწორება.

2.4.5 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.5 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილი და ვადები:

2.5.1 სამუშაოს მიწოდების ადგილი: ქ. თელავი.

2.5.2. სამუშაოს მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 20 კალენდარული დღე.

2.6 სამუშაოს აღწერილობა და მოცულობები:

1) ქ.თელავში, არსებული ბუნებრივი წყაროსა და ჭაბურღილის სასმელი წყლების ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზები (21სინჯი) . აღნიშნული 21 წერტილის ჩამონათვალს შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს გადასცემს ხელშეკრულების დადების შემდგომ. საანალიზო ნიმუშების აღების წერტილები შეთანხმებული უნდა იქნას შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

აღნიშნული მომსახურების გაწევისას მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი კანონით განსაზღვრული ნორმებით და სტანდარტებით.

2.7 სხვა პირობები

2.7.1 მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და/ან ბეჭედ დასმული.

2.7.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ინფორმაცია.

2.7.3 ქვეკონტრაქტორი არ გამოიყენება.

2.7.4 შესყიდვაში არ გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო

გარანტია.

2.7.6 ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასის ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ზე მეტით კლების შემთხვევაში პრეტენდენტს არ მოეთხოვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის და ხარჯთაღრიცხვის ხარისხთან შესაბამისობის დაასაბუთება, რადგან აღნიშნული სამუშაო მოიცავს ინტელექტუალურ შრომას, რის გამოც პრეტენდენტი უფლებამოსილია ტენდერში დაფიქსირებული საბოლოო ფასი განსაზღვროს გაწეული ინტელექტუალური შრომის შესაბამისად, ინდივიდუალურად.

2.7.7 მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ინსპექტირებას განახორციელებს თელავის მერიის ინსპექტირების ჯგუფი.

2.8 დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობები

მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური და ასევე სხვა ნებისმიერი დოკუმენტების წარმოდგენა ხორციელდება ელექტრონულად, სისტემის გამოყენების საშუალებით, ხოლო შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ზემოაღნიშნული დოკუმენტები დედნის სახით პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით.

2.9 დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის გამოყენების საშუალებით წერილობითი მომართვის საფუძველზე.აპარატის წევრი: დოდო როზაქიძე, მაია კაკაურიძე საკონტაქტო ტელ: 0(350)272413

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თელავი „--------“ „-------------------------“ 2016 წ.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული ,,შემსყიდველი'', წარმოდგენილი ---------- სახით და მეორეს მხრივ ----------, დირექტორის ---------- სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და ელექტრონული ტენდერის შედეგის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 _____

2.2 სატენდერო განცხადების ნომერი ----------

2.3 კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი: ----------.

2.4 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი.

2.5 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი სამუშაოს ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სამუშაოს მიწოდება ტექნიკურ დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ალდებულებები.

დ) მიმწოდებელმა შესრულებულ სამუშაოზე სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

გ) გადაუხადოს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ გაწეული სამუშაოს სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განახორციელოს კონტროლი ინსპექტირების ჯგუფის საშუალებით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი როგორც სამუშაოს მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საჭიროებისამებრ.

5.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს თელავის მერიის ინსპექტირების ჯგუფი.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია 20 (ოცი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული სამუშაოს ღირებულება.

6. მიღება-ჩაბარების წესი

სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული სამუშაოს ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის, სამშენებლო ფორმა N2-ს, - თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების ვადა .

13.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელმოწერის დღიდან ----------

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1 ელექტრონული ტენდერის (NSPA----------) „ტექნიკური დოკუმენტაციის“ და „შედეგების ველში“ ატვირთული დოკუმენტები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებს.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:

დანართი N1

4. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა, ბეჭედი ---------- თარიღი ----------

დანართი N2

6. ინფორმაცია
სამუშაოების შესრულების შესახებ

N	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	შესრულებული სამუშაოს ღირებულება	მიწოდების ვადები	SPA ნომერი

ხელმოწერა/ ბეჭედი ---------- თარიღი ----------

შენიშვნა: პრეტენდენტის შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური სამუშაოები 2013 წლიდან ტენდერის გამოცხადების პერიოდამდე, ღირებულებით არანაკლებ 20 000 ლარის, რაზეც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები. ტენდერის საშუალებით განხორციელებული სამუშაოების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტების წარმოდგენა სავალდებულო არ არის დანართში მიეთითება SPA ნომერი.

დანართი N3

5. ფასების ცხრილი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების

N	დასახელება	მომსახურების ღირებულება	მიწოდების გრაფიკი
1	ქ.თელავში, არსებული ბუნებრივი წყაროსა და ჭაბურღილის სასმელი წყლების ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზები. (ასაღებია 21სინჯი)		20 დღე
	სულ ჯამი (დღგ-ს გარეშე)		

სასმელი წყლის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა

N	გამოსაკვლევი მაჩვენებლის დასახელება	მაჩვენებლის 1 გამოცდის ფასი ლარებში	შენიშვნა
I	მიკრობილოგიური და პარაზიტოლოგიური მაჩვენებლები		
1	მაფანმრ		
2	საერთო კოლიფორმული ბაქტერიები		
3	E.COLI		
4	streptococus faecalis		
5	პათოგენები,მ.შ.სალმონელები		
6	ლამბლიების ცისტები		
7	დიზენტერული ამებას ცისტები		
II	ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები		
1	პერმანგანატული ჟანგვადობა		
2	დარიშხანი		
3	ვერცხლისწყალი		

4	კადმიუმი		
5	ნიტრატი		
6	ნიტრიტი		
7	ტყვია		

უფლება მოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი